ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №94(ბ)
დაფინანსების წყარო საბიუჯეტო სახსრები (პროგრამული კოდი 310903)
წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2020 წლის „30 ივლისს''

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მე–2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ერთის მხრივ **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო** (შემდგომში შემსყიდველი) სააგენტოს უფროსის მოადგილის **დავით ალადაშვილის** სახით, მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ№ 6, ს/კ 204578581. ტელ: 2753910. საბანკო რეკვიზიტები: საბანკო რეკვიზიტები: ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022. ხოლო მეორეს მხრივ **ი.მ გია ხეცურიანის** (შემდგომში მიმწოდებელი), სახით. მისამართი: ცაგერი, სოფ. წიფერჩი, ს/კ 49001008826. ტელ: +995 579143824 ელ.ფოსტა: kaxacxvediani1972@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ნ GE54LB0112173116581000. ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს სატყეო სამეურნეო გზების მოწყობისა და რეაბილიტაციის მიზნით ბულდოზერის (ოპერატორთან ერთად) დაქირავების მომსახურების შესყიდვა (შემდგომში მომსახურება) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში ბულდოზერით მომსახურეობა განხორციელდება სავარაუდოდ 80 (ოთხმოცი) საათის განმავლობაში და აღნიშნული საათების რაოდენობა შესაძლებელია შემცირდეს ინსპექტირების ჯგუფის წევრ(ებ)ის გადაწყვეტილების საფუძველზე ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

3. მომსახურების ღირებულება

3.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **4080 (ოთხიათს ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს**

3.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3.3 ერთი საათის განმავლობაში მომსახურების ღირებულება შეადგენს 51 (ორმოცდათერთმეტი) ლარს.

3.4 გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება ბულდოზერის ნამუშევარი საათების შესაბამისად, მაგრად არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საათების რაოდენობისა.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარება

4.1 მომსახურების მიღება წარმოებს ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მხოლოდ დადებითი დასკვნის საფუძველზე.

4.2 იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მიერ დადებითი დასკვნის მომზადების საფუძველზე ახორციელებს მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, გამოვლინდება, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი მომსახურება.

4.3 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმომწერი იქნება **სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსი გიორგი დარახველიძე.**

4.4 შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მომსახურების განხორციელების ვადები და ადგილი

5.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **1 სექტემბრამდე პერიოდში.**

5.2 მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის წევრ(ებ)ის სიტყვიერი ან/და ელექტრონულ ფოსტაზე წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში (მათ შორის არასამუშო დღეებშიც), აღნიშნულ ვადაში ასევე შედის ბულდოზერის ობიექტზე ტრანსპორტირებისათვის საჭირო დროც.

5.3 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურს დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, კერძოდ ცაგერის სატყეო უბნის, ორბელის სატყეოს 63-ე კვარტალში.

5.4 ინფორმაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შედეგად მისაღწევი მიზნის შესახებ მოცემულია ცხრილში, რომელიც მომსახურების გაწევის პროცესში შესაძლებელია დაკორექტირდეს შემსყიდველის საჭიროების შესაბამისად.

#	სატყეო უბანი	სატყეო	კვარტალი	სატყეო სამეურნეო გზა (მ.)	
				მოწყობა	რეაბილიტაცია
1	ცაგერი	ორბელი	63	158	1791
სულ: (მეტრი)				**158**	**1791**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად განახორციელოს მომსახურება.

6.2 გაწეული მომსახურების რაოდენობა იანგარიშება ბულდოზერის მიერ ფაქტიურად ნამუშევარი საათების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მოხდება ანაზღაურება.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია ხე-ტყე დატვირთოს და ჩამოტვირთოს საკუთარი ძალებით სატრანსპორტო საშუალებაზე.

6.4 მიმწოდებელმა მომსახურების გაწევისას უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

6.5 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

6.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

6.7 შემსყიდველი უფლებამოსილია სრულად არ აითვისოს ხელშეკრულებით გავალისწინებული მომსახურების მოცულობა.

6.8 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6.9 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მითითებული დავალებებით და მითითებულ დროში ბულდოზერით (ბულდოზერი DT 75) მომსახურების გაწევა.

6.10 მომსახურების გაწევის ადგილებზე ბულდოზერების ტრანსპორტირება საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა. მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს მძღოლების ცხოვრების და კვების ხარჯები, ასევე ბულდოზერებში საწვავის ჩასხმა და სხვა ყველა საჭირო ხარჯის გაწევა.

6.11 მიმწოდებელი პასუხისმგებელია ტექნიკის უსაფრთხოებაზე, ხოლო აღნიშნული ტექნიკა უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში, დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეაკეთოს ან ჩაანაცვლოს ალტერნატიული ტექნიკით 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

6.12 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევის დაწყებიდან დასრულებამდე (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე) შეასრულოს მხოლოდ შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი სამუშაო და აღნიშნული ტექნიკა არ გამოიყენოს სხვა მიზნებისთვის.

6.13 შემსყიდველი უფლებამოსილია შეცვალოს ან შეამციროს მომსახურების გასაწევად საჭირო სავარაუდო საათები, ადგილი (იმავე სატყეო უბანში) და კილომეტრაჟი, რაზეც მიმწოდებელთან გაფორმდება შესაბამისი შეთანხმების აქტი, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან.

7. გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ განხორციელებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით. (ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც დაჭირდება 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მიმწოდებლის მიერ წარდგენილი წერილის მიღებიდან კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მიერ დასკვნის მომზადებას).

11.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

11.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს იმ შემთხვევაშიც, თუ ზიანი მიადგა მესამე პირებს და ეს შედეგი არ დადგებოდა ვალდებულება ჯეროვნად, რომ შესრულებულიყო.

11.4 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

11.4.1 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით. ფორს-მაჯორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

11.4.2 ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 11.4.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს;

11.4.3 ხელშეკრულების 11.4.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

12.2 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია განახორციელოს მთლიანი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

12.3 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

12.6 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

12.7 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

12.8 წინამდებარე ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.3 პუნქტის დადგომის შემთხვევაში;

12.9 მხარეთა შეთანხმებით;

12.10 12.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენლები: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსი მეტყევე **ლაშა სუთიძე** და ცაგერის სატყეო უბანის უფროსი - **მამუკა მამარდაშვილი**. (შემდგომში „კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი“).

13.2 კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:

13.3 გაუწიოს კონტროლი მომსახურების განხორციელების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

13.4 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა განხორციელებული მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და/ან მოთხოვნებს. (მ.შ. – ვალდებულებებს).

13.5 უზრუნველყოს განხორციელებული მომსახურების მიღება.

13.6 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.7 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

14.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

15.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2020 წლის 31 დეკემბრამდე.**

16.2 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ქართულ ენაზე, ელექტრონულად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

Sშემსყიდველი	მიმწოდებელი
LEPL National Forestry Agency Digitally signed by LEPL National Forestry Agency Date: 2020.07.30 19:15:48 +04'00'	Gia Khetsuriani Подписано цифровой подписью: Gia Khetsuriani Дата: 2020.07.31 14:15:52 +04'00'
---	---
დავით ალადაშვილი უფროსის მოადგილე	გია ხეცურიანი ინდ.მეწარმე